საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს

ბატონ გიორგი ბერიძეს

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, მე-18 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოვადგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტს – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით:

- მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილ რეგლამენტის პროექტზე სესიებს შორის პერიოდში ვადების დინების გაგრძელებებისა და მისი უმაღლესი საბჭოს 2021 წლის საგაზაფხულო სესიამდე განხილვის თაობაზე;
- წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტის გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

გთხოვთ, რეგლამენტის პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -14- ფურცელი

პატივისცემით,

დავით გაბაიძე

ვლადიმერ მგალობლიშვილი

09-01-03/1
17. 12. 2020
15 ფურცელი

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

რეგლამენტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 10.04.2019, სარეგისტრაციო კოდი: 010240080.51.056.016040) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ს[1]“ ქვეპუნქტი:

„ს[1]) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმას;“.

2. 29-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომიტეტი მუშაობას შეუდგება, თუ დანიშნულია უმაღლესი საბჭოს ბიუროს, ხოლო ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სხდომაზე - უმაღლესი საბჭოს დროებითი სამანდატო კომისიის მიერ დამტკიცებული კომიტეტში წევრთა რაოდენობის (სრული შემადგენლობის) ნახევარზე მეტი და მათ შორის არჩეულია კომიტეტის თავმჯდომარე.“.

3. 31-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაციან ჯგუფს კომიტეტის წევრთა რაოდენობის (სრული შემადგენლობის) ნახევარზე მეტის დანიშვნიდან, კომიტეტის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის, ასევე მისი როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან 7 დღის ვადაში.“.

4. 37-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდგი შინაარსის „დ[1]“ ქვეპუნქტი:

„დ[1]) ორგანიზებას უწევს კომიტეტის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებას;“.

5. 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

„ზ[1]) კომიტეტის საქმიანობიდან გამომდინარე, ამზადებს კომიტეტის სამოქმედო გეგმას და აქვეყნებს მას უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე;“.

6. 43-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 43[1] მუხლი:

„მუხლი 43[1]. კომიტეტის სამოქმედო გეგმა

1. კომიტეტები საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ადგენენ შესაბამისი კომიტეტის მუშაობის წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა დამტკიცდეს კომიტეტის გადაწყვეტილებით, საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

2. კომიტეტის სამოქმედო გეგმა მტკიცდება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ეცნობება უმაღლესი საბჭოს ბიუროს და ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

3. კომიტეტის სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კომიტეტის მიერ კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო და სხვა ფუნქციების, მათ შორის, რეგლამენტის 39-ე და მე-40 მუხლებითა და 140-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების, შესრულების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების და ვადების შესახებ. სამოქმედო გეგმით უნდა განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი/წევრები.".

7. 140-ე მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 140[1] მუხლი:

„მუხლი 140[1] . პეტიცია

1. პეტიცია არის არანაკლებ 200 პირის მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი პრობლემიდან გამომდინარე საკითხს.

2. პეტიციის განაცხადი წერილობით ან/და ელექტრონულად წარედგინება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და აღირიცხება შესაბამის რეესტრში. პეტიციის ელექტრონულად წარსადგენად პირი ავსებს და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ადასტურებს უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ ელექტრონული პეტიციის ფორმას.

3. პეტიციის განაცხადი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის წარდგენიდან 3 დღის ვადაში ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი:

ა) შეიცავს მოწოდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისკენ, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ომისკენ, სიძულვილისკენ ან დისკრიმინაციისკენ, ან აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ანდა ქმნის ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა საფრთხეს;

ბ) არ ეხება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი პრობლემიდან გამომდინარე საკითხს;

გ) შეურაცხმყოფელი ან უხამსი შინაარსისაა.

4. პეტიციის განაცხადის საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უნდა შეგროვდეს არანაკლებ 200 მხარდამჭერი. პირის მხარდაჭერა ფიქსირდება მხოლოდ ერთხელ, პეტიციის განაცხადზე მისი სახელისა და გვარის მითითებით. თუ პეტიციის განაცხადი 1 თვის ვადაში ვერ მიიღებს პეტიციის წარდგენისათვის საჭირო, ამ პუნქტით დადგენილი რაოდენობის პირის მხარდაჭერას, იგი არ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება პეტიციის განაცხადის წარმდგენ პირს, ხოლო რამდენიმე პირის არსებობის შემთხვევაში – იმ პირს, რომელიც პეტიციის განაცხადის ავტორადაა მითითებული. 1 თვის ვადაში ან აღნიშნული ვადის გასვლამდე არანაკლებ 200 მხარდამჭერის შეგროვების შემთხვევაში, პეტიციის განაცხადის ავტორის მიმართვის საფუძველზე პეტიციას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

5. წერილობით წარდგენილი პეტიცია, რომელიც წარდგენისას მხარდაჭერილია არანაკლებ 200 პირის მიერ, მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნების გარეშე აღირიცხება შესაბამის რეესტრში. აღნიშნულ პეტიციას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

6. უმაღლესი საბჭოს ბიურო პეტიციას შესასწავლად და განსახილველად გადასცემს შესაბამის კომიტეტს. უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე შესაძლებელია მიღებულ

იქნეს გადაწყვეტილება შესასწავლად და განსახილველად პეტიციის დროებითი კომისიისთვის გადაცემის შესახებ. აღნიშნული დროებითი კომისია იქმნება და საკითხს შეისწავლის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

7. შესაბამისი კომიტეტი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მიზანშეწონილად მიიჩნევს პეტიციის უშუალოდ შესწავლასა და განხილვას;

ბ) პეტიციას შესაბამის სამინისტროს, სხვა უწყებას უგზავნის;

გ) მიზანშეუწონლად მიიჩნევს პეტიციის შესწავლასა და განხილვას.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება 2 კვირის ვადაში ეცნობება პეტიციის ავტორს და ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომიტეტი განიხილავს პეტიციას მისთვის გადაცემიდან 1 თვის ვადაში და დასკვნას, რომელსაც თან ერთვის პეტიციის სრული ტექსტი, წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს. აღნიშნული ვადა კომიტეტის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შესაძლებელია გააგრძელოს უმაღლესი საბჭოს ბიურომ არაუმეტეს 2 თვით. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის დასკვნის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს ბიუროს შესაბამისი საკითხი განსახილველად შეაქვს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

10. სამინისტრო, სხვა უწყება 1 თვის ვადაში აცნობებს პასუხს პეტიციის ავტორს და შესაბამის კომიტეტს. შესაბამისი კომიტეტის თანხმობით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით. თუ სამინისტრო, სხვა უწყება დადგენილ ვადაში არ აცნობებს პასუხს პეტიციის ავტორს, უმაღლესი საბჭო იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

11. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე პეტიციის განხილვის შემდეგ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას.

12. პეტიციის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე და ეცნობება პეტიციის ავტორს.".

8. 157-ე მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. ამ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.".

მუხლი 2.

1. ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოქმედება გავრცელდეს 2020 წლის 15 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

2. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 1 იანვრამდე ბრძანებით განსაზღვროს ელექტრონული პეტიციის ფორმა.

მუხლი 3.

1. ეს რეგლამენტი, გარდა ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 მაისიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2020 წლის

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტზე – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“

ა) ზოგადი ინფორმაცია რეგლამენტის პროექტის შესახებ:

ა.ა) რეგლამენტის პროექტის მიღების მიზეზი;

მიმდინარე წლის 14 აგვისტოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიურომ დაამტკიცა უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილი ვალდებულებების განხორციელება გაზრდის საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულებას, გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის.

პეტიციის წარდგენის წერილობითი და ელექტრონული სისტემის დანერგვა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის მეოთხე ვალდებულებით არის განსაზღვრული. ამ ვალდებულების შესრულება კი აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში შესაბამისი ცვლილებების შეტანას საჭიროებს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი მოქმედი რედაქციით არ ითვალისწინებს პეტიციის წარდგენის არც წერილობით და არც ელექტრონულ ფორმას. პეტიციის წარდგენა მნიშვნელოვანია მოქალაქეთა ჩართულობისთვის და ღია მმართველობის პრინციპების განვითარებისთვის. აუცილებელია პეტიციებით მიმართვისა და განხილვის წესის დანერგვა მსოფლიოს საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რათა მოქალაქეებს შეეძლოთ მიმართონ ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს ისეთი საკითხების გადასაწყვეტად, რომლებიც შეეხება სახელმწიფოებრივ ან/და საზოგადოებრივ საჭიროებებს.

რეგლამენტის ცვლილების შემდეგი მიზეზია უმაღლესი საბჭოს კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავება და გამოქვეყნება. აჭარის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი არ ითვალისწინებს კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმების შემუშავების ვალდებულებას. ეს აფერხებს კომიტეტების საქმიანობის ეფექტიან დაგეგმვას, შესრულებული საქმიანობის მონიტორინგს, ანგარიშგებასა და შეფასებას. კომიტეტებმა ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობისთვის, მნიშვნელოვანია, წინასწარ შეიმუშავონ, დაგეგმონ და გამოაქვეყნონ წლის განმავლობაში განსახორციელებლი საქმიანობები.

კომიტეტების მიერ სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და გამოქვეყნებას ითვალისწინებს აჭარის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის მე-13 ვალდებულება, რომლის განხორციელებაც საჭიროებს რეგლამენტში შესაბამისი ცვლილების შეტანას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის ხელმისაწვდომობის მიზნით, უმაღლესი საბჭო უზრუნველყოფს ადმინისტრაციული შენობის შესაბამისი საჭიროებებით აღჭურვას. აღნიშნული ნორმის ამოქმედების თარიღად რეგლამენტის 157-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, განსაზღვრულია 2021 წლის 1 იანვარი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ადმინისტრაციული შენობების ხელმისაწვდომობის კუთხით ბოლო წლების განმავლობაში როგორც ქვეყნის, ასევე რეგიონის მაშტაბით საკმაოდ ბევრი რამ გაკეთდა, თუმცა მიმდინარე წელს კოვიდ პანდემიის გამო შექმნილი რთული

ვითარებიდან გამომდინარე რეგლამენტით განსაზღვრულ ვადებში, ვერ ხერხდება უმაღლესი საბჭოს ადმინისტარიული შენობის სრულად ადაპტირება შშმ პირებისათვის. პროექტის მიღების მიზეზს ასევე წარმოადგენს კომიტეტის შემადგენლობასთან დაკავშირებული ნორმის დაზუსტება.

ა.ბ) რეგლამენტის პროექტის მიზანი;

პროექტის მიზანია:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მე-4 და მე-13 ვალდებულებების შესრულება და ამ გზით, კანონშემოქმედებით პროცესში სამოქალაქო ჩართულობისა და საკანონმდებლო ორგანოს ანგარიშვალდებულების გაზრდა.

- საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობაში მოქალაქეების ჩართვა წერილობითი ან ელექტრონული პეტიციის წარდგენის მეშვეობით და მათი მონაწილეობა სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში.

- უმაღლესი საბჭოს კომიტეტების ანგარიშვალდებულების გაზრდა, მათ მიერ სამოქმედო გეგმების შემუშავება და გამოქვეყნება, და ამ პროცესებში სამოქალაქო სექტორისა და საზოგადოების მონაწილეობის ჩართულობის უზრუნველყოფა.

- შშმ პირებთან დაკავშირებით უმაღლესი საბჭოს ადმინისტრაციული შენობის სრულად ადაპტირებისათვის განსაზღვრული ნორმის ამოქმედების ახალი ვადის განსაზღვრა და კომიტეტის შემადგენლობასთან დაკავშირებული საკითხის დაზუსტება.

ა.გ) რეგლამენტის პროექტის არსი;

პროექტის პირველი მუხლის შესაბამისად, ცვლილება შედის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის:

- 25-ე მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც ბიუროს უფლებამოსილებების ჩამონათვალში ემატება შემდეგი შინაარსის „ს[1]“ ქვეპუნქტი:

ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის სამოქმედო გეგმას;“

- 29-ე მუხლის მე-2 პუნქტში და ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

2. კომიტეტი მუშაობას შეუდგება, თუ დანიშნულია უმაღლესი საბჭოს ბიუროს, ხოლო ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სხდომაზე - უმაღლესი საბჭოს დროებითი სამანდატო კომისიის მიერ დამტკიცებული კომიტეტში წევრთა რაოდენობის (სრული შემადგენლობის) ნახევარზე მეტი და მათ შორის არჩეულია კომიტეტის თავმჯდომარე.

- 31-ე მუხლის მე-2 პუნქტში ყალიბდება შემდეგი რედაქციით:

2. კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაციან ჯგუფს კომიტეტის წევრთა რაოდენობის (სრული შემადგენლობის) ნახევარზე მეტის დანიშვნიდან, კომიტეტის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის, ასევე მისი როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან 7 დღის ვადაში.

- 37-ე მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც კომიტეტის თავმჯდომარის უფლებამოსილებებში ემატება შემდგი შინაარსის „დ[1]“ ქვეპუნქტი:

დ[1]) ორგანიზებას უწევს კომიტეტის ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავებას;“.

- 38-ე მუხლის პირველ პუნქტში, სადაც კომიტეტის უფლებამოსილებებში ემატება შემდგი შინაარსის „ზ[1]“ ქვეპუნქტი:

ზ[1]) კომიტეტის საქმიანობიდან გამომდინარე, ამზადებს კომიტეტის სამოქმედო გეგმას და აქვეყნებს მას უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

- 157-ე მუხლის მე-7 პუნქტში, რომლის შესაბამისად, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდება 2022 წლის 1 იანვრიდან.

რეგლამენტის პროექტით უმაღლესი საბჭოს რეგლამენტს ემატება შემდეგი შინაარსის 43[1] და 140[1] მუხლები:

მუხლი 43[1]. კომიტეტის სამოქმედო გეგმა

1. კომიტეტები საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე ადგენენ შესაბამისი კომიტეტის მუშაობის წლიურ სამოქმედო გეგმას, რომელიც უნდა დამტკიცდეს კომიტეტის გადაწყვეტილებით, საგაზაფხულო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა.

2. კომიტეტის სამოქმედო გეგმა მტკიცდება კომიტეტის სიითი შემადგენლობის უმრავლესობით, ეცნობება უმაღლესი საბჭოს ბიუროს და ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

3. კომიტეტის სამოქმედო გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას კომიტეტის მიერ კანონშემოქმედებითი, საზედამხედველო და სხვა ფუნქციების, მათ შორის, რეგლამენტის 39-ე და მე-40 მუხლებითა და 140-ე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ფუნქციების, შესრულების მიზნით განსახორციელებელი აქტივობების და ვადების შესახებ. სამოქმედო გეგმით უნდა განისაზღვროს თითოეული აქტივობის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი კომიტეტის წევრი/წევრები.

მუხლი 140[1] . პეტიცია

1. პეტიცია არის არანაკლებ 200 პირის მიმართვა, რომელიც შეეხება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი პრობლემიდან გამომდინარე საკითხს.

2. პეტიციის განაცხადი წერილობით ან/და ელექტრონულად წარედგინება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს და აღირიცხება შესაბამის რეესტრში. პეტიციის ელექტრონულად წარსადგენად პირი ავსებს და კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ადასტურებს უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე განთავსებულ, უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებით განსაზღვრულ ელექტრონული პეტიციის ფორმას.

3. პეტიციის განაცხადი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარისთვის წარდგენიდან 3 დღის ვადაში ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი:

ა) შეიცავს მოწოდებას საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ ან ძალადობით შეცვლისკენ, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფისკენ, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევისკენ, ომისკენ, სიძულვილისკენ ან დისკრიმინაციისკენ, ან აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ანდა ქმნის ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების აშკარა საფრთხეს;

ბ) არ ეხება სახელმწიფოებრივი ან/და საზოგადოებრივი პრობლემიდან გამომდინარე საკითხს;

გ) შეურაცხმყოფელი ან უხამსი შინაარსისაა.

4. პეტიციის განაცხადის საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში უნდა შეგროვდეს არანაკლებ 200 მხარდამჭერი. პირის მხარდაჭერა ფიქსირდება მხოლოდ ერთხელ, პეტიციის განაცხადზე მისი სახელისა და გვარის მითითებით. თუ პეტიციის განაცხადი 1 თვის ვადაში ვერ მიიღებს პეტიციის წარდგენისათვის საჭირო, ამ პუნქტით დადგენილი რაოდენობის პირის მხარდაჭერას, იგი არ განიხილება, რის შესახებაც ეცნობება პეტიციის განაცხადის წარმდგენ პირს, ხოლო რამდენიმე პირის არსებობის შემთხვევაში – იმ პირს, რომელიც პეტიციის განაცხადის ავტორადაა მითითებული. 1 თვის ვადაში ან აღნიშნული ვადის გასვლამდე არანაკლებ 200 მხარდამჭერის შეგროვების შემთხვევაში, პეტიციის განაცხადის ავტორის მიმართვის საფუძველზე პეტიციას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

5. წერილობით წარდგენილი პეტიცია, რომელიც წარდგენისას მხარდაჭერილია არანაკლებ 200 პირის მიერ, მხარდამჭერთა შეგროვების მიზნით საბჭოს ვებგვერდზე გამოქვეყნების გარეშე აღირიცხება შესაბამის რეესტრში. აღნიშნულ პეტიციას უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გადასცემს უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომას.

6. უმაღლესი საბჭოს ბიურო პეტიციას შესასწავლად და განსახილველად გადასცემს შესაბამის კომიტეტს. უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე შესაძლებელია მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება შესასწავლად და განსახილველად პეტიციის დროებითი კომისიისთვის გადაცემის შესახებ. აღნიშნული დროებითი კომისია იქმნება და საკითხს შეისწავლის ამ რეგლამენტით დადგენილი წესით.

7. შესაბამისი კომიტეტი იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:

ა) მიზანშეწონილად მიიჩნევს პეტიციის უშუალოდ შესწავლასა და განხილვას;

ბ) პეტიციას შესაბამის სამინისტროს, სხვა უწყებას უგზავნის;

გ) მიზანშეუწონლად მიიჩნევს პეტიციის შესწავლასა და განხილვას.

8. ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება 2 კვირის ვადაში ეცნობება პეტიციის ავტორს და ქვეყნდება უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე.

9. ამ მუხლის მე-7 პუნქტის „ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შესაბამისი კომიტეტი განიხილავს პეტიციას მისთვის გადაცემიდან 1 თვის ვადაში და დასკვნას, რომელსაც თან ერთვის პეტიციის სრული ტექსტი, წარუდგენს უმაღლესი საბჭოს ბიუროს. აღნიშნული ვადა კომიტეტის წერილობითი მიმართვის საფუძველზე შესაძლებელია გააგრძელოს უმაღლესი საბჭოს ბიურომ არაუმეტეს 2 თვით. საჭიროების შემთხვევაში, კომიტეტის დასკვნის საფუძველზე უმაღლესი საბჭოს ბიუროს შესაბამისი საკითხი განსახილველად შეაქვს უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგში.

10. სამინისტრო, სხვა უწყება 1 თვის ვადაში აცნობებს პასუხს პეტიციის ავტორს და შესაბამის კომიტეტს. შესაბამისი კომიტეტის თანხმობით ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 1 თვით. თუ სამინისტრო, სხვა უწყება დადგენილ ვადაში არ აცნობებს პასუხს პეტიციის ავტორს, უმაღლესი საბჭო იღებს სათანადო გადაწყვეტილებას.

11. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე პეტიციის განხილვის შემდეგ უმაღლესი საბჭო იღებს დადგენილებას.

12. პეტიციის შესახებ გადაწყვეტილება ქვეყნდება საბჭოს ვებგვერდზე და ეცნობება პეტიციის ავტორს.

პროექტის მე-2 მუხლის თანახმად, რეგლამენტის პირველი მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოქმედება გავრცელდება 2020 წლის 15 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე. ამავე მუხლით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ რეგლამენტის პირველი მუხლის მე-7 პუნქტის ამოქმედებიდან არაუგვიანეს 2022 წლის 1 იანვრამდე ბრძანებით განსაზღვრავს ელექტრონული პეტიციის ფორმას.

პროექტის მე-3 მუხლის თანახმად, რეგლამენტი, გარდა პირველი მუხლის მე-7 პუნქტისა, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, ხოლო პირველი მუხლის მე-7 პუნქტი ამოქმედდება 2021 წლის 1 მაისიდან.

ბ) რეგლამენტის პროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) რეგლამენტის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო;

რეგლამენტის პროექტი არ საჭიროებს დამატებით ხარჯებს.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

გ.გ) რეგლამენტის პროექტის გავლენა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე;

რეგლამენტის პროექტი არ იქონიებს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

გ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ წარმოქმნის ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

გ.ე) რეგლამენტის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება რეგლამენტის პროექტის მოქმედება;

რეგლამენტის პროექტის მიღება არ იქონიებს ფინანსურ შედეგს იქონიებს იმ პირებზე, რომლებზეც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

გ) რეგლამენტის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში;

რეგლამენტის პროექტის იმ ნაწილის შემუშავებაში, რომელიც ეხება უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მონაწილეობა მიიღეს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) წარმომადგენლებმა. პროექტის „საპარლამენტო დემოკრატიის კონსოლიდაცია საქართველოში" ფარგლებში ევროკავშირი (EU) და გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) მჭიდროდ თანამშრომლობს ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტთან (IDFI) საქართველოს პარლამენტსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში ღია მმართველობის პრინციპების ხელშეწყობის მიზნით.

გ.ბ) რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება რეგლამენტის პროექტის მიმართ;

რეგლამენტის პროექტის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ) რეგლამენტის პროექტის ავტორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

ე) რეგლამენტის პროექტის ინიციატორი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები დავით გაბაიძე და ვლადიმერ მგალობლიშვილი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის იმ მუხლის მოქმედი სრული რედაქცია, რომელშიც წარმოდგენილი რეგლამენტის პროექტით შედის ცვლილება

მუხლი 25. უმაღლესი საბჭოს ბიუროს უფლებამოსილებები

1. უმაღლესი საბჭოს მუშაობის ორგანიზებისთვის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით დადგენილი შემადგენლობით იქმნება უმაღლესი საბჭოს ბიურო.

2. უმაღლესი საბჭოს ბიურო რეგლამენტით დადგენილი წესით:

ა) შეიმუშავებს და უმაღლეს საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტს. უზრუნველყოფს კანონის, დადგენილების, რეზოლუციის, მიმართვის, უმაღლესი საბჭოს მიერ მისაღები სხვა აქტის პროექტის, აგრეთვე კომიტეტის, დროებითი კომისიის დასკვნების საფუძველზე საკითხის უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანას;

ბ) კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველი კანონპროექტების შესახებ დასკვნებს, კომიტეტებისა და დროებითი კომისიების დასკვნებს, რეზოლუციებისა და მიმართვების პროექტებს;

გ) განიხილავს და იღებს გადაწყვეტილებას კანონპროექტის დაჩქარებული ან/და გამარტივებული წესით განხილვის შესახებ;

დ) განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცებისა და სხვა თანამდებობის პირთა თანამდებობაზე განწესების თაობაზე შესაბამისი კომიტეტების დასკვნებს;

ე) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილ კომიტეტებში, დროებით კომისიებში და ეთიკის საბჭოში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს;

ვ) ამტკიცებს კომიტეტების, დროებითი კომისიების, კომიტეტებთან არსებული საკონსულტაციო საბჭოების დებულებებს;

ზ) რეგლამენტით დადგენილი წესით წყვეტს ფრაქციების რეგისტრაციის საკითხებს;

თ) იღებს გადაწყვეტილებას პირის ლობისტად რეგისტრაციის შესახებ;

ი) უზრუნველყოფს სხვა სახელმწიფოში წარგზავნილი უმაღლესი საბჭოს დელეგაციებისა და უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშების მოსმენას უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომაზე;

კ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ხაზინადართა საბჭოს გადაწყვეტილებებს;

ლ) ამტკიცებს ბიუროს მუშაობის რეგლამენტს;

მ) ამტკიცებს საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის დებულებას;

ნ) რეგლამენტით დადგენილი წესით ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს წევრის სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული თანხის ოდენობას;

ო) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით უმაღლესი საბჭოსათვის განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში განიხილავს და ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერას და ცვლილებები შეაქვს მასში. უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია უმაღლეს საბჭოში დასაქმებული პირის დროებითი შრომისუუნარობის გამო გასაცემი თანხის გადატანასთან, ხორციელდება უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით. აღნიშნულ ინფორმაციას უმაღლესი საბჭოს

ბიურო ცნობად იღებს უახლოეს სხდომაზე, ხოლო ცვლილება აისახება უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის დეტალურ განწერაში;

პ) იღებს გადაწყვეტილებებს უმაღლესი საბჭოს და მისი მუშაობის ცალკეულ ორგანიზაციულ საკითხებზე;

ჟ) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ლოგოს და მისი გამოყენების წესს;

რ) ეთიკის საბჭოს წარდგინებით ამტკიცებს ეთიკის საბჭოს დებულებას;

ს) ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრებისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციების საზღვარგარეთ მივლინებაში წარგზავნის წესს;

ტ) ახორციელებს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 29. კომიტეტის ფორმირება და შემადგენლობა

1. კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვრება ფრაქციათა წარმომადგენლობისა და უმაღლესი საბჭოს იმ წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არც ერთ ფრაქციაში. კომიტეტებში წევრთა რაოდენობასა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს განსაზღვრავს უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი და ამტკიცებს უმაღლესი საბჭოს ბიურო, ხოლო ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს პირველ სხდომაზე – უმაღლესი საბჭოს დროებითი სამანდატო კომისია და დადგენილებით ამტკიცებს უმაღლესი საბჭო.

2. კომიტეტის შემადგენლობაშია უმაღლესი საბჭოს არანაკლებ 5 წევრი. კომიტეტი მუშაობას შეუდგება, თუ დანიშნულია კომიტეტის მინიმალური რაოდენობის სამი მეხუთედი და არჩეულია კომიტეტის თავმჯდომარე.

3. უმაღლესი საბჭოს წევრი ვალდებულია იყოს არანაკლებ 1 კომიტეტის შემადგენლობაში, ამასთან, არ შეიძლება იყოს გაწევრიანებული 2-ზე მეტ კომიტეტში. უმაღლესი საბჭოს წევრის მეორე კომიტეტში გაწევრების საკითხს წყვეტს მისი ფრაქცია, ხოლო უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრის შემთხვევაში - უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრი, პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებით დადგენილი ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში უმაღლესი საბჭოს (ბიუროს) მიერ კომიტეტში ფრაქციისათვის კომიტეტის წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებიდან 3 დღის ვადაში ფრაქცია თავისი გადაწყვეტილებით წარადგენს კომიტეტის წევრებს.

5. კომიტეტში წევრის წარდგენის შესახებ ფრაქციის გადაწყვეტილება ეცნობება უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტს (დროებით სამანდატო კომისიას) და უმაღლესი საბჭოს ბიუროს. უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი (დროებითი სამანდატო კომისია) ამოწმებს ფრაქციის მიერ კომიტეტში წევრის წარდგენის სისწორეს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს შესაბამის რეაგირებას. ფრაქციის მიერ წარდგენილი წევრი კომიტეტში დანიშნულად ითვლება უმაღლესი საბჭოს ბიუროს (დროებითი სამანდატო კომისიის) მიერ აღნიშნული ფაქტის ცნობად მიღების მომენტიდან.

6. უმაღლესი საბჭოს იმ წევრის კომიტეტში გაწევრება, რომელიც არ არის გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში, ხდება ამ მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი წესით, უმაღლესი საბჭოს წევრის პირადი განცხადების საფუძველზე.

7. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე არ შეიძლება იყოს კომიტეტის შემადგენლობაში.

8. თუ ფრაქციებში განხორციელებული ცვლილებები გავლენას ახდენს კომიტეტში ფრაქციათა პროპორციულ წარმომადგენლობაზე, უმაღლესი საბჭოს საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი 1 კვირის ვადაში განსაზღვრავს და უმაღლესი საბჭოს ბიუროს უახლოეს სხდომაზე წარუდგენს პროპორციული წარმომადგენლობის ახალ კვოტებს.

მუხლი 31. კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის წესი

1. კომიტეტის თავმჯდომარეს კომიტეტის წევრთაგან ირჩევს უმაღლესი საბჭო, რეგლამენტით დადგენილი წესით.

2. კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს ფრაქციას, უმაღლესი საბჭოს წევრთა სამკაციან ჯგუფს, კომიტეტის წევრთა მინიმალური რაოდენობის სამი მეხუთედის წარდგენიდან, კომიტეტის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, ან მისი უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის, ასევე მისი როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის მომენტიდან 7 დღის ვადაში.

3. თუ უფლებამოსილი სუბიექტები ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ წარადგენენ კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურას, ამ ვადის გასვლიდან 5 დღეში კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურას კომიტეტის წევრთაგან წარადგენს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე.

4. კომიტეტის თავმჯდომარე აირჩევა ფარული კენჭისყრით.

5. კანდიდატთა დასახელების შემდეგ უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომის თავმჯდომარე აქვეყნებს კანდიდატთა სიას.

6. კომიტეტის თავმჯდომარის არჩევის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

7. თუ კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნებში 1 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერ აირჩა, არჩევის პროცედურა ხელახლა იწყება. თუ არჩევნებში 2 კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმ კანდიდატს, რომელმაც მეტი ხმა მიიღო, ხელახლა ეყრება კენჭი. თუ მან ამ შემთხვევაშიც ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, არჩევის პროცედურა ხელახლა იწყება.

8. თუ კომიტეტის თავმჯდომარის არჩევნებში 2-ზე მეტი კანდიდატი მონაწილეობდა და ვერც ერთმა ვერ დააგროვა ხმების საჭირო რაოდენობა, იმართება არჩევნების მეორე ტური იმ 2 კანდიდატს შორის, რომლებმაც ყველაზე მეტი ხმა მიიღეს. თუ არჩევნების პირველ ტურში შეუძლებელია მხოლოდ 2 საუკეთესო შედეგის მქონე კანდიდატის გამოვლენა, მეორე ტურში კენჭი ეყრება იმ კანდიდატებს, რომლებმაც მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით პირველი ან მეორე ადგილი გაიყვეს. არჩეულად ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელმაც მიიღო მეტი ხმა, მაგრამ არანაკლებ უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა. ხმების თანაბრად გაყოფისას არჩევის პროცედურა ხელახლა იწყება.

9. თუ არჩევნების მეორე ტურში გასულმა კანდიდატმა მოხსნა თავისი კანდიდატურა, მის ნაცვლად კენჭი ეყრება მიღებული ხმების რაოდენობის მიხედვით მომდევნო კანდიდატს.

10. კანდიდატს უფლება აქვს, ყოველი კენჭისყრის წინ მოხსნას თავისი კანდიდატურა.

მუხლი 37. კომიტეტის თავმჯდომარისა და მისი მოადგილის უფლებამოსილებები

1. კომიტეტის თავმჯდომარე მის კომპეტენციას მიკუთვნებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სამართლიანად და მიუკერძოებლად.

2. კომიტეტის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს კომიტეტის საქმიანობას, იწვევს და წარმართავს კომიტეტის სხდომებს;

ბ) წარმოადგენს კომიტეტს უმაღლეს საბჭოში, მის გარეთ და შესაბამის ურთიერთობებში;

გ) ხელს აწერს კომიტეტის აქტებს და კომიტეტის სხდომის ოქმებს;

დ) საერთო ხელმძღვანელობას უწევს კომიტეტის აპარატს;

ე) საშემოდგომო სესიის დაწყებიდან არაუგვიანეს ერთი კვირისა უმაღლეს საბჭოს წარუდგენს კომიტეტის საქმიანობის წერილობით ანგარიშს;

ვ) გამოსცემს განკარგულებას შიდასაკომიტეტო ორგანიზაციულ საკითხებზე;

ზ) ახორციელებს რეგლამენტით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და კომიტეტის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

3. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ასრულებს კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას;

ბ) ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს.

4. კომიტეტის თავმჯდომარის გადადგომის, გადაყენების, უფლებამოსილების სხვაგვარად შეწყვეტის, მის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან მისი, როგორც უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს მისი მოადგილე.

მუხლი 38. კომიტეტის უფლებამოსილებები

1. კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

ა) შეიმუშავებს, განიხილავს და უმაღლესი საბჭოს პლენარული სხდომისათვის ამზადებს საკანონმდებლო აქტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების პროექტებს;

ბ) მონაწილეობს უმაღლესი საბჭოსათვის წარდგენილი კანონპროექტების ან/და სხვა აქტების პროექტების განხილვასა და დამუშავებაში, ამზადებს დასკვნებსა და კანონპროექტის თაობაზე წარმოდგენილი შენიშვნების კანონპროექტში გათვალისწინების მდგომარეობის ამსახველ ფურცელს;

გ) განიხილავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონისა და მასში ცვლილების შეტანის შესახებ კანონის პროექტებს და შეიმუშავებს შესაბამის დასკვნებს;

დ) აკონტროლებს საკანონმდებლო აქტების, უმაღლესი საბჭოს დადგენილებებისა და სხვა გადაწყვეტილებების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;

ე) ახორციელებს კონტროლს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობაზე და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის დასკვნას წარუდგენს უმაღლეს საბჭოს;

ვ) წყვეტს თავისი საქმიანობის ორგანიზაციულ საკითხებს;

ზ) სარგებლობს საკანონმდებლო ინიციატივის უფლებით;

თ) ახორციელებს რეგლამენტითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე განსახილველ ყველა საკითხს განიხილავს შესაბამისი კომიტეტი, გარდა რეგლამენტით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

3. კომიტეტი საკუთარი ინიციატივით ან შესაბამისი განცხადების, მიმართვის, პეტიციის საფუძველზე მისი კომპეტენციის ფარგლებში შეისწავლის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში გამოითხოვს შესაბამის მასალებს და დასკვნას განსახილველად წარუდგენს უმაღლეს საბჭოს.

4. კომიტეტის სხვა უფლებამოსილებანი განისაზღვრება კომიტეტის დებულებით.

მუხლი 157. დასკვნითი დებულებები

1. რეგლამენტის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს:

ა) 2005 წლის 24 მარტის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი (გაზეთი „აჭარა", №57, 31.03.2005);

ბ) 2004 წლის 14 სექტემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის სტატუსის შესახებ" (საკანონმდებლო მაცნე, N15, 17.09.2004);

გ) 2017 წლის 23 ივნისის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №50 დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესხებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 26.06.2017, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010320000.31.056.016053);

დ) 2007 წლის 19 დეკემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №280 დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს - ხაზინადართა საბჭოს დებულების დამტკიცების თაობაზე" (გაზეთი „აჭარა" №170, 20.12.2007);

ე) 2016 წლის 28 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №4 დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომისიების შემადგენლობის განსაზღვრისა და უმაღლესი საბჭოს კომისიებში ფრაქციათა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცების შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 09.12.2016);

ვ) 2016 წლის 28 ნოემბრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №5 დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობის არჩევის შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 09.12.2016);

ზ) 2017 წლის 26 იანვრის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს №22 დადგენილება - „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მაჟორიტარი წევრის ამომრჩევლებთან ურთიერთობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www.matsne.gov.ge) 26.04.2013, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010190040.31.056.016047).

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა" და „ბ" გათვალისწინებული საკანონმდებლო აქტების საფუძველზე მიღებული (გამოცემული) სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ რეგლამენტთან მათ შესაბამისობამდე ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მათ ძალადაკარგულად გამოცხადებამდე.

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მიერ ამ რეგლამენტის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცებამდე ძალაშია ამ მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულება და სტრუქტურა და მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტები.

4. უმაღლესი საბჭოს ბიურომ, ამ რეგლამენტის ამოქმედებიდან 1 კვირის ვადაში ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საბჭოს დადგენილების მიხედვით დაამტკიცოს უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში წევრთა რაოდენობა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ კომიტეტებში წევრთა რაოდენობისა და კომიტეტებში პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების დამტკიცებამდე ძალაშია ამ მუხლის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საბჭოს დადგენილება.

5. უმაღლესი საბჭოს ბიურო, ამ რეგლამენტის ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში ცნობად იღებს უმაღლესი საბჭოს კომიტეტების იმ შემადგენლობას, რომელიც დამტკიცებულია ამ მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დადგენილებით. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ ცნობად მიღებული უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილება, უმაღლესი საბჭოს ბიუროს სხდომის მომდევნო დღეს ეგზავნება უმაღლესი საბჭოს კომიტეტებს. უმაღლესი საბჭოს ბიუროს მიერ უმაღლესი საბჭოს კომიტეტების შემადგენლობის ცნობად მიღებამდე ძალაშია ამ მუხლის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უმაღლესი საბჭოს დადგენილება.

6. ეს რეგლამენტი, გარდა ამ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა, მე-14 მუხლისა, 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ და „რ“ ქვეპუნქტებისა, 32-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 78-ე მუხლის მე-2 პუნქტისა, 147-ე მუხლის მე-6 პუნქტისა და 155-ე მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

7. ამ რეგლამენტის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი ამოქმედდეს 2021 წლის 1 იანვრიდან.

8. ამ რეგლამენტის მე-14 მუხლის პირველი პუნქტი, ამოქმედდეს „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის ამოქმედებისთანავე, ხოლო იმავე მუხლის მე-2 პუნქტი და 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი - „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილების განხორციელების შემდეგ.

9. ამ რეგლამენტის 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტი, 78-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 155-ე მუხლი, ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.

10. ამ რეგლამენტის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 147-ე მუხლის მე-6 პუნქტი ამოქმედდეს ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილების ცნობისთანავე.